F 567 ✓ 3678

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბავშვო ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-18 წელი

№ 5 (213)

მარტი,

1969 წელი



მოქანდაკე

ლამარა ქველიძე.

მარნეულის რაიონული სახალხო სასწავლო ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის ინტრედუქციის განყოფილებას ყოველდღე მოსდის დიდძალი პაკეტი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მარკებით. მარტო მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში მიღებულია ორი ათასზე მეტი ასეთი პაკეტი. მათი გამომგზავნები არიან ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, აფრიკის, კანადის, ავსტრალიის, პორტუგალიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბევრი სხვა ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებები და ბოტანიკური ბაღები.

პაკეტებში არის ყვავილების, ბუჩქების, ბალახის, ხეების თესლი. 10 სახეობის როდოდენდრონისა და საჭმელი პასიფლორის თესლი მიღებულია ვაშინგტონიდან, რამდენიმე სახეობისა — პორტუგალიიდან. იმ სახეობათა ევკალიპტების, რომლებიც მხოლოდ ავსტრალიაში ხარობს, ანონის, სამკურნალო მცენარე სტროფანისა და ბაობაბის თესლი გამოგზავნილია ნიგერიიდან, დეკორაციული მცენარეების ბევრი თესლი მოდის მსოფლიოს სხვა ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებიდან.

საზღვარგარეთელი კოლეგების თხოვნით ბათუმის ბოტანიკური ბაღის მუშაკებმა თავის მხრივ გაუგზავნეს მრავალი ათასი დეკორაციული მცენარის თესლი, აგრეთვე კატალოგები.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის კოლექცია განუწყვეტლივ იზრდება. იგი ახლა ითვლის 5 ათასზე მეტი სახეობის მცენარეს.

გულგარეთიდან რუსთავში — სასწავლებლად

რუსთავი. ბულგარეთიდან 30 ჭაბუკი ჩამოვიდა რუსთავში, სადაც მეტალურგიულ ქარხანაში ისწავლის მილსადიდავი წარმოების ოსტატთა პროფესიას.

— ქალაქი რუსთავი, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს ბულგარელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა პეტკო პანოვმა, — კარგი სკოლაა ჩვენთვის. ჩვენამდე აქ პრაქტიკას გადიოდა 75 ჩვენი თანამემამულე. ახლა ისინი დგანან კრემიკოეცის ქარხნის საგლინავ, მილსაგლინავ აგრეგატებთან და გვიჩვენებენ მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს. რუსთავმა ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. არ მჯერა, რომ ეს ქალაქი სულ 20 წლისაა. თქვენი მეტალურგიული ქარხანა თანამედროვე საწარმოა. ძალიან გვიხარია, რომ ვისწავლით თქვენთან მეტალურგის ძნელ, მაგრამ საპატიო პროფესიას.

კურორტის ხვალინდელი დღე

თერჯოლა. მხოლოდ ერთი წელია, რაც კურორტი სიმონეთი ჩადგა მშრომელთა სამსახურში. რამდენიმე წლის წინათ გეოლოგების მიერ აღმოჩენილი თერმული წყლების მეოხებით კურორტმა მოკლე ხანში მოიპოვა პოპულარობა. № 1 წყარო, რომლის ტემპერატურა 42 გრადუსს უდრის, ხოლო დებიტი 4.500 ლიტრს საათში, შესანიშნავი სამკურნალო საშუალებაა რადიკულიტით დაავადებულთათვის. იგი კარგად მოქმედებს აგრეთვე კუნთების ტკივილზე, ნერვულ სისტემაზე, არეგულირებს სისხლის მიმოქცევას.

წელს კურორტზე პროექტის მიხედვით აშენდება ახალი საბაზანო, რომელიც ერთდროულად მიიღებს 20 კაცს. კურორტის გამტარუნარიანობა მნიშვნელოვნად გადიდდება მას შემდეგ, რაც № 2 წყარო კოლექტორით შეუერთდება პირველ წყაროს. მიმდინარე წელს აშენდება აგრეთვე საცხოვრებელი სახლი.

პირველი მაისიდან, როდესაც გაიხსნება საკურორტო სეზონი, სიმონეთის საუბნო საავადმყოფო გადაკეთდება პანსიონატად და იქ მოთავსდება 50 საწოლი. გათვალისწინებულია აგრეთვე სამი სანატორიუმის აგება. აშენდება კვების ბლოკი, ელექტროქვესადგური, გაფართოვდება ელექტროქსელი.

ხალხური ხელოვნების აღორძინება

კერამიკა. ლამაზყელიანი მუქი ყავისფერი სურები. ისინი მოგვაგონებენ გრაციოზულად მოცეკვავე ქართველ ქალიშვილებს. ხვესურული ხალიჩები ძუნწი ორნამენტი და თავშეკავებული ფერები. მკაცრი და დიდებული ჰედურობა...

რამდენი თვითმყოფადი, კეთილშობილური სილამაზეა ჩაქსოვილი სახალხო ხელმარჯვეთა ხაკეთობებში! ყოველივე ამ სიმდიდრეს საფუძვლად უდევს ქართველი ხალხის უძველესი ხელოვნების ტრადიციები, რომლებიც შექმნეს მრავალი თაობის მხატვრებმა.

როგორი გახდა სახალხო ოსტატების ხელოვნება ჩვენს დროს? როგორ მიმდინარეობს მუშაობა ჩვენი წინაპრების ხელოვნების აღორძინებისა და განვითარებისათვის? ამ კითხვებზე ჩვენს კორესპონდენტს უპასუხა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა.

ქართული ხალხურ-დეკორატიული ხელოვნება ახლა წარმოდგენილია კერამისტთა, ხისა და ძვლის მჭრელთა, ხალიჩის მკეთებელთა, მქსოველთა და მქარგველთა მაღალი ოსტატობით. ეს ადამიანები ქმნიან საუცხოო მხატვრულ ნაწარმოებებს. არის ნიჭიერ მეთუნეთა, მეხალიჩეთა, მეავეჯეთა მთელი ოჯახები და სოფლები... ბოლო დრომდე, სამწუხაროდ, ბევრს არ შეეძლო დამტკბარიყო ამ ადამიანთა ლამაზი შრომის შედეგებით. დაბრკოლება ის იყო, რომ ხალხური ოსტატთა საქმიანობა გათიშული, კარჩაკეტილი ხასიათისა იყო. ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვევლინებინა მხატვრები ცალკეული ადგილებიდან და მოგვეწყო მათი ერთიანი ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა, რათა არ დაბრკოლებულიყო ხალხური მხატვრული რეწვის შემდგომი განვითარება და გადაგვეჩინა ცალკეულ სახეობათა ხალხურ-დეკორატიული ხელოვნება.

ამას წინათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც განსაზღვრულია ხალხური რეწვის განვითარების ახალი ღონისძიებანი. მასში ხაზგასმულია, რომ ფართოდ უნდა ჩავაბათ ხალხური ხელმარჯვე ოსტატები საწარმოო კოლექტივებში სამუშაოდ. შევქმნათ ადგილებზე, სადაც ყველაზე მეტად განვითარებულია ხალხური შემოქმედება, სპეციალური საშუალო სასწავლებლები.

საქართველოს ცალკეული ადგილებიდან ხელმარჯვეთა გამოვლინებაში, მათთან მუშაობის გზებისა და მეთოდების ძიებაში, დიდი დახმარება გაგვიწიეს სამხატვრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკებმა. მათ მოაწყვეს ექსპედიცია საქართველოს ხალხური დეკორატიული ხელოვნების შესასწავლად. ეს ექსპედიცია იყო ჩვენი რესპუბლიკის ბევრ რაიონში. მისი მუშაობის შედეგები ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მოხერხდა ხალხის წიაღიდან წარმოშობილი ნიჭიერი ოსტატების გამოვლინება.

კახეთის სხვადასხვა სოფელში არიან მემკვიდრეობით ოსტატები. თელაველ ხელმარჯვეთა ჭურჭელი იშვიათი სახეობის ხალხური ხელოვნებაა. აქაური მეთუნეები ფლობენ ტრადიციული ჭურჭლის სხვადასხვა ფორმას, იყენებენ საინტერესო მოხატულობას.

სოფელ შროშაში მეთუნეობას ეწევა სამასზე მეტი ოჯახი. მათი ნაკეთობანი გამოირჩევა სისადავით, პლასტიკური სრულყოფით და თავისებურებით.

სხვა სახეობა, რომელმაც შეინარჩუნა ძვირფასი და თავისთავადი თვისებები, მეხალიჩეობაა. თუშური ქეჩის ხალიჩები ყურადღებას იპყრობენ გაბედული დეკორატიული ორნამენტით, მათ ახასიათებთ თავისებური მონუმენტურობა, ლაკონიზმი. სწორედ ამიტომ თუშურმა ხალიჩებმა მიიპყრეს სპეციალისტთა ყურადღება გამოფენებზე ჩვენში და საზღვარგარეთ.

სოფელ ალვანში ფარდაგს ქსოვს თითქმის ყოველი ოჯახი. მისი არქაული გეომეტრიული ორნამენტი ყურადღებას იპყრობს სიმკაცრით, კეთილშობილური თავშეკავებით. ძველი მოხატულობის გამეორებასთან ერთად მეხალიჩეები ქმნიან ახალ ნიმუშებსაც. თანამედროვე ნაწარმოებებში ვხედავთ გაბედულ ფერებსა და ორნამენტებს, სიუჟეტურობას და დამთავრებულ ნახატს.

გამოყენებითი ხელოვნების ორგანული სახეობაა ხის მოჩუქურთმება, რომლითაც განთქმული არიან სვანეთის ოსტატები. ეს საგნები დამკვიდრებულია ყოფა-ცხოვრებაში, საინტერესოა როგორც სუვენირები.

საქართველოს ხალხურ ხელმარჯვეთა ნაკეთობანი მუდამ დიდი წარმატებით სარგებლობენ მოსკოვისა და საზღვარგარეთის გამოფენებზე, მათი ხარისხი და თავისებურება დიდად დაიფასეს სპეციალისტებმა და პრესამ.

ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ საკუთარი ორგანული გამოყენებითი და დეკორატიული ხელოვნება, განვავითაროთ, ავაყვავოთ იგი, გადავცეთ ძველი ოსტატობის გამოცდილება ახალგაზრდა მხატვრებს.

ამ მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა ჩვენს სამინისტროს შექმნას ხალხური რეწვების გაერთიანება. ასეთი გაერთიანება უკვე არსებობს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. მათი სტრუქტურისა და მეთოდებით გასაცნობად ჩვენი მუშაკები იყვნენ ამ რესპუბლიკებში.

საქართველოში ასეთი გაერთიანების შექმნა თავის ნაყოფს გამოიღებს და ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში ხალხური დეკორატიული ხელოვნების აღორძინებასა და აყვავებას.

ი. ტაბატაძე.

ტყიბული შენდება

◆ **ტყიბულში ოქტომბრის ქუჩაზე ხარაჩოები ჩამოხსნეს ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლს. ეს არის პირველი საცხოვრებელი სახლი, რომელიც წელს დამთავრდა.**

ტყიბულში ფართოდ მიმდინარეობს ახალი მშენებლობა, ახლახან საფუძველი ჩაეყარა სამსართულიან ადმინისტრაციულ შენობას. მიმდინარეობს სპორტის სასახლის მშენებლობა, რომელიც წელს უნდა დამთავრდეს. გრძელდება საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობა, რომელიც ქალაქს დააკავშირებს რუსთაველის მთასთან, სადაც აშენებულია მეშახტეთა პროფილაქტორიუმი.

ვიეტნამელ მეგობართა დისერტაციები

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი ვიეტნამელებს ნგიემ ჩუნგ ლანს და ნგუენ ვიეტ ტის. მათ თავიანთი დისერტაციები მიუძღვნეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების — ჩაისა და სიმინდის მოვლა-მოყვანისა და მოსავლის აღების მანქანებს.

ორივე დისერტანტმა უმაღლესი განათლება საბჭოთა კავშირში მიიღო. ისინი სამ წელს მეცადინეობდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურაში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ გ. შხვაცაბაიას ხელმძღვანელობით.

ჩვენი კორესპონდენტის თხოვნით პროფესორმა გ. შხვაცაბაიამ ილაპარაკა ვიეტნამელ მეგობართა მეცნიერული გამოკვლევების მნიშვნელობაზე.

ჩაის კულტურას წამყვანი როლი უკავია ტექნიკურ კულტურებს შორის ვიეტნამის სოფლის მეურნეობაში. მაგრამ სპეციფიკური პირობების გამო იქ შეუძლებელია ჩვეულებრივი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება. მრავალი სამუშაო ჩაის პლანტაციებში დღემდე ხელით წარმოებს. ნგიემ ჩუნგ ლანმა შეისწავლა საქართველოს ჩაის მეურნეობებში კომპლექსური მექანიზაციის გამოყენების გამოცდილება, დაასაბუთა საბჭოთა მანქანებისა და აპარატების გამოყენება ჩაის დასამუშავებლად ვიეტნამში. ნგუენ ვიეტ ტიმ შეისწავლა და გამოიკვლია სისტემა საბჭოთა კავშირში გამოყენებული მანქანებისა სიმინდის მოვლა-მოყვანის და მოსავლის აღების კომპლექსური მექანიზაციისათვის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში.

ორივე ეს ნაშრომი დაეხმარება მეგობარ ვიეტნამს მნიშვნელოვნად გაზარდოს სიმინდისა და ჩაის დამუშავება. მინდა აღვნიშნო ასპირანტთა სიბეჯითე, მხურვალე მისწრაფება, რაც შეიძლება მალე შეესწავლათ სოფლის მეურნეობის ქართველ სპეციალისტთა მდიდარი გამოცდილება, რათა ეფექტიანად გამოეყენებინათ იგი სამშობლოში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს უდიდესი დახმარება და ყურადღება, რასაც ვგრძნობდით თქვენს შესანიშნავ რესპუბლიკაში სამი წლის ყოფნის მანძილზე, — უთხრეს ჩვენს კორესპონდენტს ნგიემ ჩუნგ ლანმა და ნგუენ ვიეტ ტიმ. ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ უანგარო ზრუნვას, მისწრაფებას რაც შეიძლება უკეთ და ეფექტიანად გადმოეცათ ჩვენთვის მდიდარი გამოცდილება. ყოველივე ეს საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა დიდი და ურღვევი მეგობრობის შედეგია.

წინ დიდი გზაა

ფურცლები ერთი ჭაბუკი ხელოვანის ცხოვრებიდან



— **როცა** ადამიანებს რაიმეს ისურვებენ, თან დაურთავენ ხოლმე „ღმერთმა ისმინოსო“. აი თურმე რას ეძახიან ღმერთს... ორმა დიდმა შემოქმედმა იაკობ ნიკოლაძემ და ევგენი ლანსერემ დალოცეს ჩემი გივი და ხომ ხედავთ! ყოველ შემთხვევაში დასწყისს კარგი პირი უჩანს. — ცოტა შეარბილა ვალერიანმა და წინ საკმაოდ მოზრდილი საქაღალდე დამიდო.

საქაღალდეს გაკრული ხელით ეწერა „ცოტა რამ მოქანდაკე გივი მიზანდარის შესახებ“.

* * *

„ვალერიან მიზანდარი თავისი გვარის ღირსეული გამგრძელებელია. ამ გვარის წარმომადგენელთაგან არა ერთსა და ორს შეუტანია საყურადღებო წვლილი ქართული ხელოვნების ისტორიაში“ — ასე ვიწყებდი ერთ-ერთ ჩემს ნარკვევს საქართველოს დამსახურებული მხატვრის, შესანიშნავი მოქანდაკისა და ღირსეული მოქალაქის ვალერიან მიზანდარის შესახებ...

და მიხარია, მიხარია, რომ ახლა, როცა გივი მიზანდარის, როგორც ჩამოყალიბებული შემოქმედის შესახებ ვლაპარაკობთ, თამამად შეიძლება იგივე გავიმეოროთ. დიახ, გივი მიზანდარი თავისი გვარის ღირსეული გამგრძელებელია. ამ გვარის წარმომადგენელთაგან არა ერთსა და ორს შეუტანია საყურადღებო წვლილი ქართული ხელოვნების ისტორიაში.

შორს თუ არ წავალთ, გასული საუკუნის ბოლოს და ამ საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდნენ ძმები ფელიქს, ალოიზ და ვალერიან მიზანდარები.

ბრწყინვალე მუსიკოსი ფელიქს მიზანდარი ზაქარია და ივანე ფალიაშვილების მასწავლებელი იყო და ამან, უდაოდ, შეუწყო ხელი მათი ხალასი ნიჭის ასე ძლიერად გამომჟღავნებას.

როსინი და ლისტი თავიანთ უახლოეს მეგობარს ალოიზ მიზანდარს უბადლო ოსტატს უწოდებდნენ. იგი წლების მანძილზე ვენაში ცხოვრობდა და მათთან ერთად მოღვაწეობდა.

ვალერიან მიზანდარი თავისი დროის ცნობილი მოქანდაკე და საინტერესო შემოქმედი იყო.

ფელიქსის ვაჟმა ვალერიანმა, რომელიც ოცდათორმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა, უდიდესი შრომისმოყვარეობითა და ნიჭიერებით ცნობილი დირიჟორის სახელი დაიმკვიდრა. იგი ადრე დაბრმავდა და შესანიშნავი სმენის წყალობით უპარტიტუროდ დირიჟორობდა.

* * *

და ბოლოს ვალერიან მიზანდარი — ჩუმი ნიჭიერი და ნაყოფიერი შემოქმედი...

ვსაუბრობდით ამ ცოტა ხნის წინ ვალერიანის მანსარდში მე და მამაშვილი. ვალერიანს წინ თიხის ჯერ კიდევ უფორმო გროვა ედო და, როგორც თვითონ ამბობს ხოლმე „იმ ზედმეტს რაც მომავალი ქანდაკებისათვის საჭირო არ იყო“, ნელი-ნელ აცლიდა.

გივი ჩემს გვერდით იჯდა და ხანდახან ისე, თითქოს სხვათაშორის გახედავდა მამას.

— სულაც არ არის გასაკვირი შვილი მშობლის პროფესიას რომ ირჩევს ხოლმე. — განვაგრძე დაწყებული საუბარი.

— მითუმეტეს, რომ ხელოვნებასთან გვაქვს საქმე. — დაურთო გივიმ.

ვალერიანი: გივი თითქმის მთელ თავისუფალ დროს ჩემს სახელოსნოში ატარებდა, ადრევე შეატყე ამ საქმისადმი ინტერესი, მეც ვუხსნიდი ხოლმე, როგორც შემეძლო ვეხმარებოდი, ვაყვარებდი... როგორ გამეხარდა მის ნაჭყლეტც თიხაში პირველად რაღაც ცხოველი რომ შევიცანი, მაშინ რა იყო, ექვსი წლისაც არ იქნებოდა...

გივი წამოდგა, პლასტელინის გორგალი, ხელში რომ ათამაშებდა, ხის დაფაზე დაატყეპა და ჯიბეებში ხელჩაწყობილი ბოლთის ცემას მოჰყვა.

გივი: ყველაფერს დასაწერად არ ვამბობთ, და მე მგონია აქ სხვა რაიმეც მნიშვნელოვანია. ბუნებრივია არც ერთი საქმე არ კეთდება, რასაც კაცი უგულოდ მოეკიდება... თუ გინდა კარგად გააკეთო, ოფლის ღვრასაც უნდა მიეჩვიო. ჩემის აზრით, იმდენ შრომას, ძიებას და, რაც მთავარია, ნებისყოფას, სხვა პროფესიას რომ არ შევეხო, ხელოვნების არც ერთი დარგი არ ითხოვს, რამდენსაც ქანდაკება. მე ბავშვობიდანვე ყოველთვისა და ყველაფერში მიზნისაკენ ძნელად სავალ გზას ვირჩევდი. ადრევე დავრწმუნდი ქანდაკების სირთულესა და სილამაზეში და ალბათ ამანაც განაპირობა... მამას... მამას ბევრ რაიმეში ვუმადლი...

ვალერიანი: სპორტშიაც ასეთი გზა აირჩია და არც თუ ურიგო მოკრივე იყო.

— მახსოვს, სულ რამდენიმე შებვედრას დავესწარი და ისიც მახსოვს, რომ გივის შეხვედრები სპორტულ შეჯიბრთან ერთად სანახაობაც იყო ხოლმე... ლამაზი, მაღალტექნიკური, გააზრებული...

გივი? კრივი ჩემი ჰობია...

ვალერიანი: და ამას უკვალოდ არ ჩაუვლია...

— ალბათ ლასლო პაპის სკულპტურულ პორტრეტს გულისხმობთ?

გივი: სწორედ მაშინ ვიყავი კრივით გატაცებული, მიმოწერით დავუკავშირდი სახელგანთქმულ ლასლო პაპს... მან ფოტოსურათები გამომიგზავნა და... ამ ნამუშევრის ორიგინალი სახსოვრად აქვს ლასლოს.

— დარწმუნებული ვარ კარგად გამოვიდოდა, ეს ხომ შენი ორი ჰობის ერთობლივი ნაყოფია.

გივი: როგორ ამბობს გოეთე? სახვითი ხელოვნებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ერთი შენიშვნა: უმაღლესი პათეტიკური გამოსახვა, რომელიც მას შეუძლია წარმოგვიდგინოს, ყოველთვის დაკავშირებულია ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლასთან... როცა გარდასახვის დროს რჩება წინამდგომარეობის ნათელი კვალი, მაშინ წარმოიქმნება სახვითი ხელოვნების დიდებული ნიმუში. — გივიმ ჩაამთავრა ციტატი და. ამით სუფთა პროფესიული კუთხით შემოაბრუნა ჩვენი საუბარი.

ვალერიანმა უკვე სახეცვლილ თიხის ფორმას თავი დაანება, სკამი ჩემთან ახლო მოსწია და საოცრად შთაგონებული სახით მითხრა:

— შენ წეღან მკითხე, მაინც ყველაზე მთავარი რა არისო მოქანდაკისათვის, ეს ისეთი შეკითხვაა, რომელსაც კონკრეტულ პასუხს ვერ უპოვნი... და მაინც თუ შეიძლება ამ კითხვას მოკლედ უპასუხო, ისევ გოეთეს ეს სიტყვები უნდა მოიშველიო... აი, თურმე რას უნდა მიაღწიოს ჭეშმარიტმა ხელოვანმა...

(დასასრული მე-6 გვერდზე).

ფურცლები ისტორიიდან

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ქართულ ენაზე გამოუშვა უნგრელი მეცნიერის **ლაიოშ ტარდის** შრომა **„უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“**. ავტორს მოჰყავს მრავალი საინტერესო მასალა.

საუკუნეთა სიღრმიდან მოდის ცნობები უნგრელი და ქართველი ხალხების ურთიერთობის შესახებ. ჯერ კიდევ XIII საუკუნის დამდეგს უნგრეთის მეფე ანდრიამ მეორემ და გიორგი ლაშამ შეკრიბეს ჯარები ჯვაროსანთა ლაშქრობისათვის, მაგრამ ქართველების ამ ლაშქრობაში მონაწილეობას ხელი შეუშალა მონღოლთა შემოსევამ საქართველოში.

XIII საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში იყვნენ ცნობილი უნგრელი მეცნიერები და მოგზაურები რიკარდუსი, რუბრიკი, იანოშ შალტბერგერი, ტეცტანდერ დორდი, პეტერ ბაზიკი და სხვები. მათ დატოვეს მდიდარი წერილობითი მასალა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების შესახებ.

საქართველოს მეფის არჩილ მეორის თხოვნით ამსტერდამის ბურგომისტრმა დაავალა უნგრელ ოსტატს მიკლოშ კიშს დაემზადებინა საქართველოდან გამოგზავნილი ნახატების მიხედვით ქართული სასტამბო შრიფტი. კიშმა შეასრულა დავალება, რისთვისაც მიიღო ქართველი მეფის მადლობის წერილი. უფრო გვიან ოსტატი მიხაი იშტვანოვიჩი სათავეში ჩაუდგა საქართველოს მეფის ვახტანგ მეექვსის სტამბას თბილისში. მან დაბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტამბური გამოცემა.

ქართველი მეფის ერეკლე მეორის კართან მუშაობდა უნგრელი ექიმი და გეოლოგი იაკობ რეინეგსი. მან შეადგინა კავკასიის დაწვრილებითი გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული აღწერილობა. გერონტი ქიქოძის კვლევის თანახმად, რენეგსმა თბილისში შექმნა სტამბა, აღადგინა თეატრი და მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვაში.

დიდი სიმპათიით იყო გამსჭვალული საქართველოსა და ქართველებისადმი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი. მან შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი ილუსტრაციები. უნგრეთში გამოვიდა ილონა ბერკოვიჩის წიგნი, ხოლო საქართველოში — ბ. გორდეზიანის წიგნი საქართველოში მიხაი ზიჩის ყოფნის შესახებ.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი თარგმანი უნგრულ ენაზე, რომელიც ბელა ვიკარმა შეასრულა, ზიჩის ილუსტრაციებით, გამოვიდა 1917 წელს.

ნავთობი... „ანკესზე“

უჩვეულო მებადურების როლს ასრულებენ ბათუმის ცენტრალური ნავთობბაზის ნავთობსაწმენდ ნაგებობათა სამაქროს ოპერატორები. ოღონდ „ანკესით“ ისინი იჭერენ არა შავი ზღვის კეფალს, არამედ ნამდვილ... „შავ ოქროს“.

სამაქრო ამუშავდა სამი თვის წინათ, ზღვიდან კი უკვე ამოღებულია 300 ტონა ნავთობპროდუქტები, რომლებიც წინათ აჭუჭყიანებდნენ სანაპირო ზოლს.

ზღვა უფრო სუფთა გახდება მას შემდეგ, რაც გასაწმენდი ნაგებობანი მომსახურებას გაუწევენ სათვალავით მეხუთე ნავმისადგომს. გასაწმენდად მიიღებენ ბათუმის სავაგონო დეპოს, ცენტრალური გადასატვირთი ბაზის, ხილდამუშავებელი კომბინატის სამრეწველო ჩანადენ წყალს.

გაზი მთაში

ყაზბეგი. რაიონის მშრომელთა ყოფაცხოვრებაში მტკიცედ მკვიდრდება გაზი. ბუნებრივი გაზის სიკეთით, რომელიც მაგისტრალური მილებით რაიონში გადის, სარგებლობს დაბა ყაზბეგის, არშის, გარბანისა და სხვა სოფლების მოსახლეობა. ამჟამად გაზიფიცირებულია 200-მდე ბინა, ყაზბეგ- და არშის სკოლები, რაიონული საავადმყოფო, აბანო, სკოლა-ინტერნატი და მთელი რიგი დაწესებულებები.

დიდი სამამულო ომის გზებზე

ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის

ჭირსა თუ ლხინში ქართველი ქალი გვერდში ედგა ქმარს, მამას, ძმას და უმსუბუქებდა მათ მძიმე ცხოვრებას, იგი თავდაუზოგავად შრომობდა, იღვწოდა და იბრძოდა ოჯახის, შვილისა და სამშობლოს ბედნიერებისათვის.

ასე იყო ყოველთვის და ასე მოხდა 1941 წელსაც, როცა ჩვენს სამშობლოს ვერაგულად თავს დაესხა ფაშისტური გერმანია. მამაკაცთა მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ ჩვენი დიადი ქვეყნის ქალები. ისინი მამაკაცების გვერდით იარაღით ხელში იბრძოდნენ და ჰეროდნენ გამარჯვების სამამულო ომის ფრონტებზე.

იმ 650 ათას ვაჟკაცს შორის, რომელიც სამშობლომ ფრონტზე გაგზავნა, 10 ათასზე მეტი ქართველი ქალი იყო. აქედან ათასზე მეტი — მასწავლებელი ქალი, ისინი მტკიცედ იდგნენ სამშობლოს სადარაჯოზე.

იდგა 1942 წელი. მტერი კავკასიის დაპყრობას ლამობდა. მასწავლებლის სოფიო მორჩილაძის ძმები ფრონტზე იბრძოდნენ, სამშობლო განსაკუთრებულ საფრთხეში იყო. სოფიოს გული ფრონტისაკენ მიუწევდა. მან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს განცხადებით მიმართა ფრონტზე გამგზავნეთო. მისი თხოვნა დაკმაყოფილეს. მან დაამთავრა პოლიტ-მუშაკთა გადასამზადებელი კურსები, მიიღო პოლიტხელის წოდება და დაინიშნა პოლიტხელად საჰაერო თავდაცვის სამსახურის ერთ-ერთ პოლკში, სოფიო დადიოდა პოლკის ყველა სათვალთვალო პუნქტებზე. კავკასიის მთიან რაიონებში, მიდიოდა ფეხით, მიყვებოდა სატელეფონო ხაზებს, რათა გზა არ აბნეოდა, გზას იკვლევდა რუკით, არ ერიდებოდა ციცაბო კლდეებსა და ხევებს, რომ პირადად შეხვედროდა სათვალთვალო პუნქტების მებრძოლებს, გაემხნევებინა ისინი.

კავკასიის მისადგომებთან გაჩაღებულ ბრძოლებში ს. მორჩილაძე დაიჭრა, განკურნების შემდეგ იგი ისევ ბრძოლის ველზეა. 1944 წელს ისევ მეორედ დაიჭრა. მძიმე ჭრილობამ იგი დიდხანს მიაჯაჭვა ლოგინს. გამარჯვების დღემ ჰოსპიტალში მოუსწრო.

ომგადახდილი პედაგოგი ქალი სოფიო მორჩილაძე ამჟამად დედაქალაქის ერთ-ერთი მოწინავე სკოლის დირექტორია.

თბილისის 67-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ვენერა კალანდაძე 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის სანიტარულ ბატალიონში ექიმის თანაშემწედ მუშაობდა. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქერჩისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში. უშიშარი ქალიშვილი ბრძოლის ველზე ტრიალებდა და პირველი სასწრაფო დახმარების შემდეგ სამშვიდობოზე გამოყავდა დაჭრილი მეომრები. ვ. კალანდაძემ მრავალ დაჭრილ მეომარს შეუნარჩუნა სიცოცხლე. იგი ქერჩში წარმოებული ბრძოლების დროს შეგიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. მამაცი ქართველი ქალი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლით: „მამაცობისათვის“.

ომის veteრანი, ორი შვილის დედა ვ. კალანდაძე დღეს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით ზრდის ჩვენს მომავალ თაობას.

ახალგაზრდა მასწავლებელი ირა მოლოდინი მაშინ წავიდა ფრონტზე, როცა ჰიტლერელები კავკასიას მიადგნენ. იგი საზენიტო არტილერიაში მსახურობდა. საბრძოლო დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის არაერთხელ დაუმსახურებია სარდლობის მადლობა. ი. მოლოდინმა ომის დამთავრების შემდეგ დაამთავრა პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი და კვლავ სკოლას მიაშურა. ამჟამად იგი გეოგრაფიის მასწავლებელია მცხეთის საშუალო სკოლაში.

კავკასიის მისადგომებთან გაჩაღებული ბრძოლების დღეებში თავის თანაკურსელებთან ერთად ფრონტზე მოხალისედ წავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი გოგუცა კაპანაძე. გ. კაპანაძეც მეზენიტე იყო. მისი ნაწილის ქვემეხების ცეცხლმა ფაშისტების ბევრი თვითმფრინავი დაანარცხა მიწას.

ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა ბრატისლავასთან. ამ ბრძოლებში გ. კაპანაძე მძიმედ დაიჭრა და, როცა იგი ჰოსპიტალში ჭრილობებს იშუშებდა, მტრის აღსასრულიც დადგა. მამაცი მებრძოლი ქალიშვილი ორდენებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა სამშობლოს, დაამთავრა უნივერსიტეტი და წარმატებით მუშაობს ქ. ზესტაფონის საშუალო სკოლაში.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში სახელი მოიხვეჭა ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის მასწავლებელმა მარო სირაძემ. იგი საავიაციო ნაწილში მსახურობდა. საბრძოლო დავალებების შესრულებაში მამაცობის გამოჩენისათვის იგი ორდენებითა და მედლებით არის დაჯილდოებული.

ომის მძიმე გზა განვლო ლაგოდეხის რაიონის სოფელ მშვიდობიანის მცხოვრებმა მასწავლებელმა ნინო მოდებაძემ, მან საკუთარი თვალით ნახა ომის საშინელებანი. იგი ახლა ვარდისუბნის დაწყებითი სკოლის მასწავლებელია.

თბილისის 33-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი შუშანა ტრიკარაძე მონაწილეობდა ნოვოროსიისკისა და ტამანის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში.

იგი არაერთხელ დაჭრილა თანამებრძოლთა დახმარების დროს. ეს გაბედული ქალი გამარჯვების მაისს გერმანიაში შეხვდა. შ. ტიკარაძეს მთავარსარდლობისაგან მინებული აქვს 5 მადლობა და დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.

საზენიტო არტილერიის პოლკში მსახურობდა ჩოჩხაული მასწავლებელი ნათელა ხუტულაშვილი, ისიც კავკასიის მისადგომებთან ჩაება ბრძოლებში და ოდერამდე იარა. იგი მთელ პოლკში ცნობილი იყო როგორც უშიშარი რადისტი. მის მიერ არტილერიის ცეცხლის კორექტირება იმდენად ზუსტი იყო, რომ ფაშისტი სვავები თავს ვერ აღწევდნენ საბჭოთა მეზენიტეების ცეცხლს.

მხედრის ფარაჯა ჩაიცვა მეხტერელმა მასწავლებელმა შურა გვიჩიანმა. იგი სამედიცინო ჩანთით და იარაღით იქ იყო, სადაც მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა და პირველ დახმარებას უწევდა დაჭრილ მეომრებს.

ნაწილი, რომელშიაც შურა გვიჩიანი მსახურობდა, წინ მიიწევდა. გაათავისუფლა ყუბანი, როსტოვი, ვორონეჟი, უკრაინის ქალაქები და სოფლები. ფაშისტი სვავები უკრაინის ერთ-ერთ სოფელს ზენკოვოს დაესხნენ და ცეცხლის ალში გაახვიეს. უეცრად შურას ბავშვის ტირილი შემოესმა. ხომ არ მეჩვენებაო — გაიფიქრა. ირგვლივ მიმოიხედა და იქვე ახლოს ბომბის ნამსხვრევებით განგმირული დედის გვერდით პატარა ბიჭუნა დაინახა. ბიჭი დედას დასდგომოდა თავზე, ტიროდა და ეძახდა. შურამ მიირბინა და ბავშვი ხელში აიტაცა. მას შემდეგ ბავშვი მკერდიდან არ მოუშორებია. დედ-მამით ობოლ იური სოკოლოვს მზრუნველი კალთა გადაუფარა.

კიევის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში შურა გვიჩიანი მძიმედ დაიჭრა. მარჯვენა ფეხი და თვალი დაკარგა. ის დიდხანს იყო მიჯაჭვული სარეცელს, მაგრამ ბავშვი ერთი წუთითაც არ მოუშორებია გვერდიდან, ბავშვიც არ ცილდებოდა. დიდი დრო მოუნდა მის მკურნალო-

სიცოცხლის წყაროები



წყალტუბოს სამკურნალო წყლები დამსახურებული პოპულარობითა და სახელით სარგებლობენ ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთაც. მთელი წლის განმავლობაში მუშაობს აქ 15 სანატორიუმი.

ზამთრის ბოლოა, წყალტუბოში თბილა, ანათებს მზე, თვალს ახარებს ქალაქ-კურორტის მარადმწვანე სამოსი. მრავალრიცხოვან ბაღებში, პარკებში, საბანაზანო შენობებთან, ყველა სანატორიუმის ტერიტორიაზე დი-



ლიდან-საღამომდე ხალხმრავლობა და გამოცოცხლებაა.

ყოველ დღე თვითმფრინავებს, მატარებლებს, ავტობუსებს ჩამოყავთ დამსვენებლები და ავადმყოფები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, და იმ ას ათას დაახლოებულიდან, რომელმაც შვებულება წელს წყალტუბოში გაატარა, ალბათ ძნელია ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელიც უკმაყოფილო დარჩა წყალტუბოს თბილი სამკურნალო წყლებითა და აქ გატარებული დროით.

სურათებზე: № 6 წყაროს საბანაზანო შენობასთან; წყალტუბოს პარკში.

ბას. ახალგაზრდა ორგანიზმმა თავისი გაიტანა. ერთი წლის მკურნალობის შემდეგ იგი ოთხი წლის იურისთან ერთად მშობლიურ მისტიაში დაბრუნდა.

მახარაძის რაიონის ცხემლისხიდის საშუალო სკოლის მასწავლებელი თინა კობალაძე სწრაფად დაეუფლა საზენიტო არტილერიის მართვის ტექნიკას. ნაწილში იგი ერთ-ერთ მოწინავე მებრძოლად ითვლებოდა. განუწყვეტელი დაბომბვისა და მტრის საარტილერიო სროლის დროს იგი უშიშრად ასრულებდა საბრძოლო დავალებას.

გამბედავი მებრძოლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი თერჯოლის რაიონის ჭოგნარის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს ჭინია ლანჩავას. მან ბრძოლით გაიარა ათასობით კილომეტრი კავკასიიდან გერმანიამდე.

ოცეულმა, რომელშიაც ჭ. ლანჩავა იბრძოდა, განსაკუთრებით ისახელა თავი უკრაინის ქალაქის ბელაია ცერკოვის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში მან მოსპო მტრის ოცდაათი ჯარისკაცი და ოფიცერი, ორი ტანკი და სხვა მრავალი საომარი იარაღი. ქალაქ დნეპროდენისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის ჭ. ლანჩავა წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდეს.

თერჯოლის რაიონის ღვანცითის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ქეთევან ჩუთლაშვილი საზენიტო ბატარიაში ათეულს მეთაურობდა. იგი მონაწილეობდა უკრაინის ქალაქების იასნოვატკის, სტალინოს, დნეპროპეტროვსკისა და სხვა ქალაქების გათავისუფლებისათვის ბრძოლებში. იგი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.

თბილისის მე-20 საშუალო სკოლის მასწავლებელი რუსუდან ბაბალაშვილი საზენიტო არტილერიის პოლკში მუშაობდა. იგი თავისი ხელსაწყოთი ხან მთის წვერზე, ხან ხის კენწეროზე იყო ჩამჯდარი და კორექტირებას უწევდა არტილერისტთა ცეცხლს.

გარდაბნის რაიონის დიღმის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ზვინაბ თაქთაქიშვილი მეზენიტე იყო. იგი მამაცურად ებრძოდა მტერს.

მასწავლებელ ზვინაბ თაქთაქიშვილის მხარდამხარ იბრძოდა ვაშლაჯვრის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი მარიამ შაკაშვილი, რომელმაც სიმამაცითა და გამბედაობით მრავალი საბრძოლო მედლები დაიმსახურა. ფაშისტებს ასე გმირულად ებრძოდა გორელი პედაგოგი ეპიტედა გაჩერიაძე.

ბათუმელი მასწავლებელი დარეჯან ღლონტი მზვერავთა ასეულში ირიცხებოდა და ბრძოლაში ჩრდილოეთ კავკასიაში ჩაება. მან ბრძოლით განვლო ლატვიის ქალაქ დაუგავპილამდე.

საოცარი გმირობა გამოიჩინა მცხეთელმა მასწავლებელმა ნინო ხუციშვილმა, ის 1943 წლის 4 თებერვალს ნოვოროსიისკში „მცირე მიწაზე" სადესანტო ნაწილებთან ერთად გადასხდა და 225 დღე-ღამის განმავლობაში ვაჟკაცურად იბრძოდა.

კაცხის საშუალო სკოლის ყოფილი პიონერხელმძღვანელი დუნია ბაზღაძე მეგობარ გოგონებთან ერთად 1942 წელს გაუდგა ფრონტის გზას. იგი ჯერ დონორი გახდა. საკუთარ სისხლს აძლევდა დაჭრილ მებრძოლებს. შემდეგ კი უკრაინაში იბრძოდა.

1942 წლის შემოდგომაზე კოჯრის საბავშვო სახლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ნადია პაპუნაშვილი სამშობლოს დაძახილზე მის ერთგულ დამცველთა რიგებში ჩადგა. მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილით გულანთებულმა ქალიშვილმა ფრონტის ხაზზე გასვლა ითხოვა. ასე სახელოვნად იბრძოდა ყვარლელი მასწავლებელი ალექსანდრა მოროზოვა.

დაბა ვანია (ვანის რაიონი) მასწავლებლების თამარ ცხადაშვილის, ალექსანდრა გიორგაძისა და თამარ ხურციძის მშობლიური სოფელი. აქ აიდგეს ფეხი მათ. ეს ახალგაზრდა პედაგოგები ომის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ მშობლიური მიწაწყლის დამცველთა რიგებში ჩადგნენ.

1945 წლის ბოლოს დაბრუნდნენ ისინი ფრონტიდან და ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებულებმა შეაღეს სკოლის კარი.

სამშობლოს დამცველთა რიგებში იდგა ღანირის საშუალო სკოლის (სამტრედიის რაიონი) მასწავლებელი ჭინია ოდილავაძე.

1942 წლის დეკემბრის სუსხიანი ღამე... ცეცხლის ალში გახვეული ქალაქი სტალინგრადი... გაფთრებული ბრძოლები სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიაზე. 800-მდე ახალგაზრდა გოგონებით დატვირთული ეშელონი თბილისიდან დაიძრა. ნაწილი სტალინგრადის ფრონტზე გაემგზავრა, ნაწილი კი — მოზდოკის მისადგომებისაკენ. მათ შორის იყო თბილისის 65-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი მარიამ ჭანტურაია, მასთან ერთად ჩვენ თამარ სტეფანიძე, თამარ იაშვილი, თინათინ ჩხენკელი, მარია ზაიცევა, ანა გრძელიძე. ბაბულია წოწორაია და სხვები. მოზდოკში მეგობრები ერთმანეთს დაეცილნენ და საზენიტო არტილერიაში, ბატალიონებში გაანაწილეს. მარიამ ჭანტურაია მოზდოკის, არმავირისა და სხვა ქალაქების გათავისუფლებისათვის ბრძოლებში მონაწილეობდა. მამაცი ქალიშვილი საბრძოლო დავალებებს სანიმუშოდ ასრულებდა. გამარჯვების დღე მათ რუმინეთში იდღესასწაულეს. ომგადახდილი ქალიშვილები სამშობლოში დაბრუნდნენ. მარიამ ჭანტურიამ 23-ე სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა, მისი მეგობრები ზოგი ექიმია, ზოგი კი — ინჟინერი.

25-ე საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი ბაბო ბათიაშვილი ომის დაწყების პირველი დღიდანვე საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგა და მთელი თავისი მეზნებარებით იბრძოდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის იგი ორდენებითა და მედლებით არის დაჯილდოებული.

სამშობლოს გათავისუფლებისათვის მებრძოლთა შორის იდგა ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ქსენია ცერცვაძე, რომელმაც ბრძოლით განვლო კავკასიის მისადგომებიდან ბელორუსიამდე. მან თავისი ახალგაზრდული სიცოცხლე ბელორუსიის მიწა-წყლის გათავისუფლებას შესწირა.

მაიაკოვსკელი მასწავლებელი ტასია გრძელიძე უკრაინაში იბრძოდა, ხოლო მასწავლებელი ლუბა სიხარულიძე მონაწილეობდა სტალინგრადის ლეგენდარულ ბრძოლებში.

სამშობლოსადმი უსაზღვრო თავდადების მაგალითები გვიჩვენა ცხაკაიას რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელმა შუშანა ჭიპალავამ, სამტრედიის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლის მასწავლებელმა თინა ფახურიძემ, ქობულეთის რაიონის ჯახაის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ქსენია ჩხაიძემ, საჩხერის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ქრისტინე სარჩილაძემ, ლენინგორის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ელენე ცოტაიშვილმა, ხობელმა პედაგოგმა ზ. შუშანიამ.

სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტებზე სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდა ჩვენი რესპუბლიკის სკოლების მრავალი პედაგოგი ქალი. მათ შორის აღსანიშნავია: მ. ვადაჭკორია, ე. ინაშვილი, ვ. კალერჯიანი, თ. კიპულაძე, გოგუცა კიპულაძე, ე. კიკალიშვილი, ა. კოზაევა, ნ. კუტუბიძე, მ. კელმერტი, დ. მარტიაშვილი, ლ. ჯობაძე, ნ. მირზაშვილი, ნ. მჟავანაძე, ს. მოდებაძე, ლ. მოდებაძე, ჭ. სხილაძე, ა. გოგოლაძე, გ. ორმოცაძე, ნ. რამიშვილი პ. სარინი, მ. სანაძე, თ. საგინაძე, რ. სახვაძე, ნ. სვინტარაძე, მ. სიუკაევი, თ. სულაბერიძე, დ. ტუტულიანი, ა. მოროზოვა, ვ. ტიბილოვა, ნ. ფირცხალავა, ვ. ფხალაძე, თ. ქამქაძე, ა. ქაჯაია, ნ. ღუდუშაური, თ. შარაბიძე, ნ. შევარდნაძე, მ. ხელაშვილი, თ. აბაშიძე, ე. ანდღულაძე, ზ. ჩიტეიშვილი, ა. ჩხიკვაძე, ა. ცხოკრებოვა, თ. ბურჯანაძე, ო. გაბისონია, ვ. გაგლოევა, თ. ცხვარიაშვილი, ა. გოგაშვილი, გ. გაბარაევა, ნ. გოგიბერია, მ. გოგინაშვილი, თ. გუმბერიძე, ო. დარსაძე, ა. დგებუაძე, პ. გომურაშვილი, ო. დარსაძე, თ. დარსაძე, მ. გიგინეიშვილი, თ. დოლიძე, ა. ბახტაძე, მ. გუგუშვილი, ა. ორჩიგაევა, არუთინოვი და სხვ.

ომი დამთავრდა. სახლში დაბრუნდა კალატოზი, ხურო, მიწის მუშა, ექიმი და მასწავლებელი. კაცმა მშვიდობიანი ცხოვრებისათვის მოიცალა. დაბრუნდნენ ომგადახდილი გოგონებიც. მაგრამ ყველანი არა. წავიდა ათასი ქალიშვილი, დაბრუნდა კი... ორასი. 800 მასწავლებელი ქალი შეეწირა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

ი. გიორგაძე.

ქ. ბათუმის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკა

ეს საინტერესოა

მეცნიერული გამოკვლევების პროგნოზირება

ჟართველმა კიბერნეტიკოსებმა დაამუშავეს ადამიანის ინტელექტუალური მოქმედების მართვის მეცნიერული მეთოდი. იგი საშუალებას იძლევა ეფექტიანად გადაიჭრას მეცნიერული გამოკვლევების გრძელვადიანი დაგეგმვისა და პროგნოზირების ამოცანები. ამ მეთოდის დახმარებით მნიშვნელოვნად ჩქარდება დაგეგმვის პროცესი, გადაწყვეტათა მიღება ან მსჯელობათა შემუშავება.

ადამიანისათვის მიცემული კითხვების სპეციალურად შედგენილი სისტემის საფუძველზე მკვლევართა შორის მიღწეულია ფსიქო-ინტელექტუალური აგზნების (გენერაციის) ეფექტი. მისი არსებობა დადასტურდა პირდაპირი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტებითაც.

მეთოდი ითვალისწინებს ექსპერიმენტს, რომელიც ხორციელდება წამყვანისა და გამოსაცდელის საუბრის სახით, თუ საჭიროა, წამყვანი სარგებლობს ელექტრონული გამოსათვლელი მანქანით. მასში შეიქვთ ხუთი სპეციალური ბლოკი, რომლებიც შეიცავენ საუბრისათვის საჭირო ინფორმაციის მოცულობას. წამყვანი ასტიმულებს მკვლევარს შემოქმედებისათის, მიაგნებინებს მას დასახული ამოცანის გადაწყვეტას, ამასთან იცავს მთელ რიგ პირობებს, რომლებიც ამ პროცესს ეფექტიანს ხდის.

კიბერნეტიკოსებმა შეადგინეს კონკრეტულ დიდ სისტემებში (სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი, მგეგმავი ორგანოები) ინტელექტუალური მოქმედების ოპტიმალური მართვისა და სტიმულირების სპეციალური კითხვარები (ფსიქო-ევრისტიკული პროგრამები).

ექსპერიმენტში მონაწილე სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ საუბრის შედეგად მათ ახალი ასპექტით, უფრო სრულად და ფართოდ აქვთ წარმოდგენილი თავიანთი გეგმები. ეს მეთოდი რეკომენდებულია გამოიყენონ მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების დაგეგმვის დროს.

როგორც სამუშაოს ხელმძღვანელმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა **ვლადიმერ ჰავჰანიძემ** განაცხადა, შექმნილი მეთოდი პრაქტიკულად ერთადერთია, რომელიც გამოსაყენებლად ვარგა ადამიანის ინტელექტუალური მოქმედების სხვადასხვა სფეროში. იგი შეიძლება გამოვიყენოთ ყოველგვარ პირობაში გამოსათვლელი მანქანების გამოუყენებლადაც კი. რომელთა როლს ასრულებს სპეციალური პროგრამირებული კითხვარი. ფსიქო-ევრისტიკული პროგრამირება, — თქვა მეცნიერმა, — მართვის მეცნიერების ახალი მიმართულებაა, რომელიც საქართველოში ჩაისახა, მან ცხადყო, რომ ერთი ადამიანის შეგუება მეორის აზროვნებასთან და მისი მიგნებნება მიზნობრივი ამოცანის გადასაწყვეტად კიბერნეტიკის განსაკუთრებული დარგი ხდება, რომელიც უნდა დაეყრდნოს ფსიქო-ფიზიოლოგიური და სოციალურ-ეთიკური ფაქტორების ცოდნას.

წინ დიდი გზაა

(დასასრული)

გივიმ სამხატვრო აკადემიის დამთავრებისათანავე მიიქცია ყურადღება, როგორც ნიჭიერმა მოქანდაკემ.

დიდი შემოქმედებითი სიხარული განიცადეს მასთან ერთად მისმა კოლეგებმა და პედაგოგებმა, როცა გივის სადიპლომო ნამუშევარმა მაღალი შეფასება დაიმსახურა, როგორც იდეური ჩანაფიქრით, ისე პროფესიული ოსტატობით და დღეს ეს ნამუშევარი... თუმცა სჯობს თავიდან გაიმეოთ:

1958 წელი.

სპორტულ დელეგაციაში მყოფი ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკე პოლონელი მეგობრების მიწაზე დააბიჯებს, დააბიჯებს და ყველაფერს შემოქმედის თვალით უცქირის...

...კაცთმოძულეობის საოცარი ფაქტი, უცნაურია, მაგრამ ადამიანის, დიახ, ადამიანის გონების ნაყოფი — ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი... შეძრწუნებულმა, გაოცებულმა და თან ამაღლებულმა დასტოვა ბანაკი ჰაბუკმა... რატომღაც ფუჩიკის ამოძახილი აეკვიატა — „ერთსა გთხოვთ ყველას, ყველას ვინც ამას გადაურჩებით. — არ დავივიწყოთ, არ დავივიწყოთ არც კეთილნი და არც ბოროტნი!“.

ადამიანები ვერასოდეს ვერ დავივიწყებენ ამას, რადგან ადამიანები ვერ ივიწყებენ განსაკუთრებულს ვერც ცუდს, ვერც კარგს.

... და შემოქმედი ჰაბუკის გონებაში წამოიმართა ძლიერი, შეუდრეკელი ადამიანის სახე, შემართული, კუნთებდაჭიმული და შინაგანად შეკრული ადამიანისა, რომელიც დგას ოსვენციმის ბანაკში სიკვდილის კედელთან, ძირს დაშვებული ძლიერი ხელით სიკვდილის პირას მისული ჭირის მეგობრის მოღვენთილი სხეული უჭირავს, თითქოს მასაც წამოსადგომად ეზიდებაო, ეწევა რათა გვერდში ამოიყენოს და აღარასოდეს მოიდრიკოს. სიცოცხლე იმარჯვებს სიკვდილზე და გჯერა, რომ ეს მარადიული სიცოცხლეა.

„ოსვენციმი არ განმეორდება“, ასე უწოდა გივი მიზანდარმა თავის სადიპლომო ნამუშევარს.

... და დღეს ეს ნამუშევარი მშვიდობისა და ბედნიერი მომავლის სიმბოლოდ, იმ ქარ-ცეცხლიან მწუხარებით სავსე დღეთა მოსაგონრად და ქართველი და პოლონელი ხალხის საუკუნო მეგობრობის სანთლად, იქ პოლონელი ხალხის მრავალტანჯულ მიწაზე დგას.

* * *

„ერთხელ მებრძოლები, მთელი კვირის ხეტიალის შემდეგ ჯუნგლებიდან გამოვედით. ის-ის იყო, რომელიღაც სოფელში უნდა დავბანაკებულიყავით, რომ მოულოდნელად თავს ფრანგი ჯარისკაცები დაგვესხნენ. ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ფრანგები მეტი იყვნენ, დაგვჯაბნიდნენ კიდეც, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ მოშორებით პარტიზანების კიდევ ერთი რაზმი ყოფილიყო და ისინი წამოგვეშველენ. ღირსეულად გავუმასპინძლდით დაუპატიჟებელ „სტუმრებს“. ამ შეტევის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა ჩვენი რაზმის ერთი უმამაცესი მეომარი. „წიაო, — მითხრა მან. — თუ ჩემი მეგობარი ხარ, დამხატე, დამხატე ახლავე...“ — ეს, რა თქმა უნდა ჩემს ძალას აღემატებოდა. ადამიანი სისხლისაგან იცლებოდა და მე კი უნდა მეხატა. მეგობრებმა შემომხედეს, მე მივხვდი, რომ ის ადარ გადარჩებოდა. მაშინ გავშალე მოლბერტი, ამოვიღე საღებავები, მაგრამ დაჭრილმა ისევ შემაჩერა. „არა, წიაო, დამხატე ჩემი სისხლით, მე ვკვდები, ვიცი რომ ვკვდები და მინდა ჩემი სისხლით დამხატო. ნუ შეგეზიზღება, ეს ხომ ჩემი უკანასკნელი თხოვნაა“. ეს მუდარა კი არა, უფრო ბრძანება იყო. რა მექნა. დავასველე ფუნჯი ჩემი მეგობრის მკერდიდან გამონაყონ სისხლში და შევუდექი ხატვას. სურათი რამდენიმე წუთში დავხატე. ისიც, თითქოს უცდიდა ხატვის დამთავრებასო, თავი წამოსწია, სურათს დახედა და სული განუტევა“.

ვიეტნამის სამხედრო მუზეუმში „მომაკვდავი პარტიზანის“ სურათთან იდგა ქართველი ჰაბუკი. მას აოცებდა ნახატის უცნაური მასალა და შესრულების მანერა, ხიბლავდა ნამუშევრის მაღალმხატვრულობა. ჰაბუკი ამ ფერწერულ ტილოში ვიეტნამელი ხალხის შემოქმედებითი ცხოვრების სიმბოლოს ხედავდა, მან კარგად იცოდა, რომ ასე სისხლითა და ცრემლით იყო შექმნილი თანამედროვე ვიეტნამის მთელი სახვითი ხელოვნება.

— აბა, შენ იცი, გივი. შენ პირველი მხატვარი ხარ, რომელსაც ჩვენი მთავრობა საზღვარგარეთ აგზავნის, როგორც პედაგოგს. ეცადე არ შეირცხვინო თავი. — ამ სიტყვებით გაისტუმრეს ახალგაზრდა მოქანდაკე უფროსმა მეგობრებმა შორეულ ვიეტნამში. და **1960** წლის დეკემბერში გივიმ პირველად დაიბიჯა ვიეტნამის მიწაზე — მას სერიოზული და საპასუხისმგებლო მისია უნდა შეესრულებინა.

„ბევრმა ჩემმა სტუდენტმა მძიმე პერიოდში გადაიტანა პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი. წერდა ვიეტნამიდან დაბრუნებული გივი თავის წიგნში „სამი ცხელი წელიწადი ვიეტნამში...“ — მათ ნამუშევრებში იგრძნობა მძიმე ცხოვრება და ხალხის ოცნება. ოცნება უკეთეს მომავალზე.

მე ვიცოდი ასეთ ახალგაზრდებთან მუშაობისას სიფრთხილე იყო საჭირო. უნაყოფოდ არ უნდა ჩაევლო არც ერთ წუთს. სწორედ ეს მაფიქრებდა. მე ხომ სულ ახალგაზრდა ვიყავი. მათსავით ახალგაზრდა და მათი პედაგოგობა უნდა მეკისრა. აი ერთი და ორი უძილო ღამე გამატარებია. ჯუხსენებდი ჩემი სწავლის პერიოდს სახვატვრო აკადემიაში, ჩემს ალმზრდელ პედაგოგებს, სწავლის მეთოდებს. ახლა ყველა წვრილმანს მნიშვნელობა ჰქონდა...“

გაცდა თუ არა წუთები უნაყოფოდ? გამოიღო თუ არა შედეგი უძილოდ გატარებულმა არა ერთმა და ორმა ღამემ? დაფასდა თუ არა ანგარიშგაწეული ყველა წვრილმანი? შესრულდა თუ არა სერიოზული და საპასუხისმგებლო მისია?

1961 წლის საკავშირო გამოფენაზე, მოსკოვში მოქანდაკე გივი მიზანდარი წარსდგა. პრეზიდენტ ხო ში მინის სკულპტურული პორტრეტით. როცა ვიეტნამის უურნალ-გაზეთები პრეზიდენტის პორტრეტს აქვეყნებდნენ, ისინი გივის მიერ შესრულებული სკულპტურული პორტრეტის რეპროდუქციას ათავსებდნენ ხოლმე.

ჰაიფონგში დაიდგა „თავისუფალი შრომის გმირის“ მონუმენტი. მონუმენტის გახსნა ეროვნულ დღესასწაულად იქცა. ქართველი მოქანდაკე იდგა მონუმენტის გახსნის ზეიმზე მოსულ ზღვა ხალხში და გული სიხარულით ევსებოდა — ეს მისი ქმნილება იყო. მისი ოცნებისა და შრომის ნაყოფი.

გივი ჯერ კიდევ თბილისში მუშაობისას ფლობდა ხის, ლითონის, ქვის, ცემენტის მხატვრულად ამატყველების ფაქიზ ხერხებს, მშენებლობაში მათი გამოყენების საიდუმლოებას. მის მიერ დამზადებული დეტალებით ჩვენი დედაქალაქის ბევრი შენობა არის დამშვენებული. ეს შენიშნეს ვიეტნამელმა მეგობრებმა და სთხოვეს დახმარებოდა მათ გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა მომზადებაში.

1961 წლიდან გივიმ ჰანოის სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებლის პედაგოგობაც იტვირთა უსასყიდლოდ.

ქალაქ ჰანოის მერმა ჩან ზუი ჰინმა საბჭოთა საელჩოს ვიეტნამში ოფიციალურად აცნობა, ნაციონალურმა საბჭომ მოქანდაკე მიზანდარის მიერ წარმოდგენილ ჰანოის ძმათა სასაფლაოზე დასადგმელი ძეგლის ესკიზს მაღალი შეფასება მისცეო.

ვიეტნამის კულტურის სამინისტრომ და მხატვართა კავშირმა მოაწყვეს მოქანდაკის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომელზედაც ექსპონირებული იყო ვიეტნამში შესრულებული ნამუშევრები. ამ ნამუშევართა შორის, საყურადღებო იყო ვიეტნამის მარმარილოში შესრულებული დიდი ლენინის პორტრეტი, რომელიც ამჟამად ხო-შიმინის რეზიდენციაში დგას. საგამოფენო სალონი მუდამ ხალხით იყო სავსე, ეს მისი მაღალმხატვრულობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ჯეროვნად შეაფასა ახალგაზრდა საბჭოთა მოქანდაკისა და პედაგოგის დამსახურება ვიეტნამის მხატვრული კულტურის განვითარებაში და იგი შრომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

სამშობლოში დაბრუნებულ ჰაბუკს თან ჩამოჰყვა დაუვიწყარი შთაბეჭდილებები, დიდი სულიერი კმაყოფილება მიღებული ვიეტნამში გატარებული სამი ცხელი წელით და საოცრად დიდი გულისტკივილი — ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ შექმნან ხელოვნების ისეთი ბრწყინვალე შედევრები, როგორიც ჰანოიდან **30** კილომეტრის დაშორებით მთის წვერზე მდებარე მსოფლიოს ერთ-ერთ უნიკალური პაგოდაში დგას, ხალხს, რომელსაც შეუძლია შექმნას ისეთი უკვდავი და ძლიერი შემოქმედება, როგორიც ვიეტნამურია, ადამიანებს, რომელთაც აქვთ ზემადლით ცხებული ნიჭიერება, არაჩვეულებრივი შრომის უნარი და ენერგიულობა, ხელთ უნდა ეჭიროთ სატენი და ჩაქუჩი, ფუნჯი და კალამი, და არავითარ შემთხვევაში შაშხანა.

ნარკვევის დასასრულს ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი კამბოჯიდან მიღებულ წერილს:

„აქ დიდი ხანი არ არის, რაც ზამთარი გათავდა, — წერს გივი, —„სამშინელი“ სიცივეები იყო, სინდიყო პლუს ოცდარვას არ ჩასცილებია. თუ ამას კამბოჯელი მეგობრების საოცრად თბილ გარემოსა და მათ კეთილ დამოკიდებულებას დავუმატებთ, მიხვდები რა „სიცივეში“ მოვხვდი.

...„როიალ დე ბოზაარმა“ — ლამაზი ხელოვნების უნივერსიტეტმა ფართოდ გამიღო კარი. თუმცა არც ისე დიდი ხანია მუშაობას შევუდექი, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ვფიქრობ, პერსონალურ გამოფენასაც მალე მოვაწყობ...“

დიახ, დღეს გივი მიზანდარი კამბოჯელ მეგობრებთან მუშაობს. იგი ლამაზი ხელოვნების უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, თავის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებს კამბოჯელ ახალგაზრდებს. თანაც ნაყოფიერად მუშაობს, როგორც მოქანდაკე...

დასასრულ ის დაგვრჩენია ვთქვათ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია დიდი შემოქმედებითი ცხოვრებისა... და, კარგი დასაწყისიც. ეს იციან გივის მეგობრებმა და კოლეგებმა. ისიც იციან ბრძენს რომ უთქვამს „კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო“.

დალოცვილ იყოს შემოქმედებითი ძიებისა და სიხარულით სავსე გზა, გზა რთული საინტერესო.

დური შენგელია.

კონცერტებით ირანში

საბჭოთა მუსიკოსები ჩვენი სამხრეთელი მეზობელი ქვეყნის — ირანის არც ისე ხშირი სტუმრები არიან. ორი სახელმწიფოს კულტურული ურთიერთობა შედარებით ამ ბოლო წლებში გაცხოველდა. ამის დამადასტურებელია ორი ცნობილი შემსრულებლის ციალა კვერნაძისა და ალექსი მიხლინის ერთობლივი გასტროლები.

ციალა კვერნაძე საბჭოთა საშემსრულებლო სკოლის ერთ-ერთი მკაფიო წარმომადგენელია. მან წარმატებით დაამთავრა თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლა (მ. ევთიშვილის კლასი), ერთხანს სწავლობდა ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში პროფესორ ა. ვირსალაძესთან, ხოლო პროფესიული წრთობა დაასრულა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაში, სადაც გამოჩენილი პიანისტის ი. ზაკის ხელმძღვანელობით იზრდებოდა. ციალა მუსიკოს-შემსრულებელთა ლისაბონის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია, მის ხელოვნებას იცნობენ პორტუგალიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, სადაც მრავალფეროვანი პროგრამით გამოვიდა და პრესის საერთო მოწონება დაიმსახურა.

მევიოლინე ა. მიხლინი ბელგიის დედოფალ ელისაბედის სახელობის ბრიუსელის კონკურსის ლაურეატია, მხნირად მართავს კონცერტს როგორც უცხოეთში, ისე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში.

ირანში საბჭოთა მუსიკოსებმა სამი კონცერტი გამართეს — ერთი აბადანში, ორი კი დედაქალაქ თეირანში, ცალფა და სიმფონიური.

აბადანის საკონცერტო დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი და ჩვენს შემსრულებლებს აღფრთოვანებით შეხვდნენ. პროგრამის დამატებით რამდენიმე ნაწარმოები შეასრულებინეს. თეირანში პირველი გამოსვლის შემდეგ ც. კვერნაძესა და ა. მიხლინს შესათავაზეს შეექმნათ ტელეფილმი მათი მონაწილეობით — ეს უკვე საერთო აღიარებასა და მოწონებას ნიშნავდა. ამიტომ ბოლო საღამოზე, საკმაოდ ძვირი ბილეთების მიუხედავად რუდაქის სახელობის დარბაზი, სადაც 1.350 ადგილია, ხალხით იყო გაჭედილი. ირანელებმა სტუმრები ხანგრძლივი ოვაციით დააჯილდოეს, დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან და კიდევ ბევრჯერ დაუკრვინეს. თეირანში ორსავე კონცერტს დაესწრო სსრ კავშირის საელჩოს მთელი შემადგენლობა.

აი, გასტროლიორთა წარმატების მაუწყებელი ერთ-ერთი რეცენზია („ჟურნალ დე თეჰრან"): „ვიოლინო და ფორტეპიანო სცენაზე სასწაულებს ახდენდნენ. ციალა კვერნაძე სოლისტს არ ახშობდა, არ ეტოქებოდა, რბილად, უპრეტენზიოდ უკრავდა და ბრწყინვალე ტექნიკას ავლენდა.

მსმენელთა მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება ორი გამოჩენილი მუსიკოსის შთაგონებული, მღელვარე, მომხიბლავი შემსრულებლების სახე. რა ოსტატობაა, რა დახვეწილი ტექნიკა და შესრულების კულტურაა!".

მეგობრობის ნიშნად

„განვითარება და ცვლილებები გერმანიის ბურჟუაზიული პარტიების სტრატეგიასა და ტაქტიკაში" — ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იენის ფ. შილერის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც 1918 წლის ნოემბრის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა. უნგრელ და პოლონელ სტუმრებს გარდა მიწვეული იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები: ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. შ. მესხია და დოც. ნ. კიკვაძე.

საგულისხმოა, რომ თბილისის უნივერსიტეტისადმი ღრმა პატივისცემის ნიშნად მასპინძლებმა მისასალმებელი სიტყვის უფლება სტუმართაგან მხოლოდ პროფ. შ. მესხიას მისცეს, რომელმაც გადასცა თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო მედალი და საიუბილეო გამოცემები.


კონფერენციაში მონაწილეობის გარდა ქართველი მეცნიერები გაეცნენ იენის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ისტორიის სექციის მუშაობას.

თბილისელი მეცნიერები ეწვივნენ დრეზდენს, ბერლინს, ვაიმარს, დაათვალიერეს მათი ღირსშესანიშნაობანი, გოეთეს სახლ-მუზეუმი, ბუხენვალდის ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკი...

ყველგან იგრძნობოდა საბჭოთა საქართველოსადმი სიყვარული და სიმპათია. ამის შესანიშნავი დადასტურება იყო იენის უნივერსიტეტის რექტორ ფრანც ბოლკთან სტუმრობა. საქართველოსთან, ჩვენს ხელოვნებასა და კულტურასთან ახლობლობის სიმბოლოდ რექტორის კაბინეტში ქართული ჭედურობის ნიმუში — შ. რუსთაველის პორტრეტი ჰკიდია.

მსოფლიოს ბევრ კუთხეში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებმაც დიდი ხანი არ არის, რაც ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ხშირად შეხვდებით ქართველ სპეციალისტებს. ისინი ეხმარებიან მეგობარ ხალხს ახალი, დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობასა და განვითარებაში.

სურათზე: ქართველი ექიმი გ. ხუციშვილი (მარჯვნივ) კუვეიტში, ავადმყოფის გასინჯვის დროს.



ჩეხი მწერლის თანაავტორობით

ჩეხ მწერალს ზდენეკ სლაბის ჩვენს რესპუბლიკაში გაუჩნდა 500 ნორჩი თანაავტორი, რომლებმაც დაამთავრეს მისი ზღაპარი „ასფეხა ფოსტალიონი". ქართველმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსში ზღაპრის საუკეთესო ფინალისათვის. ეს კონკურსი გამოაცხადა რესპუბლიკურმა გაზეთმა „ნორჩმა ლენინელმა". კონკურსის მონაწილეებმა გამოგზავნეს არა მარტო პასუხი, არამედ ილუსტრაციებიც.

კონკურსის იდეა ეკუთვნის პოეტ მ. ფოცხიშვილს, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში იყო. იქ მან წაიკითხა ზღაპარი, რომელიც მიმართავდა ბავშვებს: „მოიგონე ბოლო" და გადათარგმნა იგი ქართულ ენაზე.

როცა მ. ფოცხიშვილმა დაინახა, რომ ბავშვებს ძალიან მოეწონათ, თვითონ გამოდიოდნენ „ავტორის" და „მხატვრის" როლში, გადათარგმნა ზდენეკ სლაბის მეორე დაუმთავრებელი ზღაპარი „მწარე ლიმონი". ზღაპარი დაიბეჭდა გაზეთ „ნორჩ ლენინელში".

ჩეხი მწერლის ნაწარმოებები ძალზე პოპულარულია საბჭოთა კავშირში. მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობა „მალიში" ბეჭდავს მის ზღაპრებს. გამომცემლობა „ნაკადული" უშვებს ზდენეკ სლაბის ზღაპარს „სამი წითელქუდა". მ. ფოცხიშვილის თარგმანით. ეს ზღაპარი თვით მწერალმა გამოუგზავნა ქართველ მოსწავლეებს.

მთების მღვანე ყელსაბამი

ბევრმა არ იცის, რომ „ბორჯომის", „საირმის", „ზვარეს" და სხვა მინერალური წყაროების მუდმივი დებიტი დამოკიდებულია მთის ტყეების მდგომარეობაზე. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ისინი არეგულირებენ არა მარტო მიწისქვეშა წყლების რეჟიმს, არამედ მდინარეების ჩადინებასაც. დიდი წყალსაცავი მნიშვნელობის შედეგად საქართველოს მთის ტყეები მიეკუთვნება პირველ ჯგუფს. რესპუბლიკის მთავრობის ამასწინანდელი გადაწყვეტილებით განსაზღვრულია გაჩეხვის ზღვრული ნორმა — 1.200 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე წელიწადში.

საქართველოს ტერიტორიის მესამედზე მეტი დაფარულია ტყეებით და მათი 97 პროცენტი მთებზეა. მდიდარი და მრავალფეროვანია მათი ჯიშობრივი შემადგენლობა: წიფელი, წაბლი, მუხა, მარადმწვანე ნაძვი, ფიჭვი, სოჭი და სხვ. ზამთარი მეტყევეთა განსაკუთრებული ზრუნვის ხანაა. ამ დროს ისინი ამზადებენ „სკოლებსა" და სანერგეებში ნერგებს, რათა გაზაფხულზე წავიდნენ მთებში და დარგან ახალგაზრდა ხეები გაჩეხილის ადგილას. ყოველწლიურად რესპუბლიკაში აღადგენენ 3.500 ჰექტარ ტყეს, იქმნება ახალი მინდორსაცავი ზოლები, ტყით იფარება ეროზიანი მიწები, ეწყობა სანერგეები, „სკოლები", პლანტაციები. გასულ წელს მეტყევეებმა დაამთავრეს დიდი მუშაობა მდინარეებია ალაზნის, ქსნის, ლიახვის, იორის, რიონის, მაშავერის სათავეების მოსატყევებლად სწრაფადმზარდი ხეებით მდინარეთა ჩადინების რეგულაციის მიზნით.

საქართველოს ენდემური ხეებია აღმოსავლეთის ნაძვი, მაღალი მთის მუხა, შავი ზღვისა და კავკასიის შქერები, რომლებსაც ფართოდ იყენებენ მრავალი საბჭოთა და საზღვარგარეთული ქალაქის გასამწვანებლად.

[-10] ბ. 31/96

დაგვეძებენ, მოგელიან







არკადი (არზაუ) იაგორის-ძე კოჩიკაშვილს, დაბადებულს 1916 წელს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოფალში, ეძებენ მშობლები დედა — საბედა, მამა — იაგორ კოჩიკაშვილები.

თადეოზ არჩილის-ძე დარბაიძეს, დაბადებულს 1917 წელს საჩხერის რაიონის სოფელ შომახეთში. ეძებენ ძმები — აკაკი და საშა დარბაიძეები.

ძმებს მათე გიორგის-ძე ყაჭიურს, დაბადებულს 1916 წელს და ვალიკო გიორგის-ძე ყაჭიურს, დაბადებულს 1920 წელს ლენინგორის რაიონის სოფელ გავაზში, ეძებს ძმა — სოლომონ გიორგის-ძე ყაჭიური.

სურათებზე: ა. კოჩიკაშვილი (ჯგუფში ზის მარჯვნივ) თავის თანამებრძოლებთან ერთად: ა. დარბაიძე (მარჯვნივ); მ. ყაჭიური (მარცხნივ).

დიდი ფრაღიციები

ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობა

გამოკვლევა ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის შესახებ გამოუშვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ". შრომის ავტორი პროფესორი დ. ფანჩულიძე აშუქებს იმ ისტორიულ-კულტურულ პროცესებს, რომლებმაც განსაზღვრეს ამ ქვეყნების ურთიერთინტერესი, დაახლოვეს ქართული და ფრანგული ლიტერატურები. იგი გვიჩვენებს, თუ რა როლი შეასრულა ამ მხრივ ქართველი და ფრანგი მწერლების, პოეტების, მთარგმნელების, მეცნიერების, მოგზაურების ნაწარმოებებმა.

საფრანგეთი ერთ-ერთი პირველი დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის დაინტერესდა საქართველოთი, მისი ხალხით, უძველესი კულტურით. ქართველოლოგიაში ფრანგმა საზოგადო მოღვაწეებმა გაუსწრეს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანას.

ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობა სათავეს იღებს XIII საუკუნეში. ამ დროისათვის ძლიერდება მთარგმნელობითი და საგამომცემლო მოღვაწეობა. იწერება და ქვეყნდება საქართველოსადმი მიძღვნილი ნარკვევები, რომანები, პიესები, ლექსები, გამოკვლევები.

დ. ფანჩულიძის გამოკვლევა ძირითადად აშუქებს XIX საუკუნის საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთობას.

მკითხველი გაეცნობა ალექსანდრე ჭავჭავაძის მთარგმნელობით მოღვაწეობას, რომელიც ფრანგული ლიტერატურის დიდი თაყვანისმცემელი იყო.

ავტორი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას ფრანგული ლიტერატურისადმი. მას პარალელი გაჰყავს გამოჩენილ ქართველ მწერალსა და ვიქტორ ჰიუგოს შორის. საინტერესოა, რომ ილია ჭავჭავაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ჰიუგოს შემოქმედების გამოკვლევას.

საქართველო აინტერესებდა შატობრიანს, სტენდალს, ალექსანდრე დიუმა-მამას და ბევრ სხვა გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. აკადემიკოსი მარი ბროსე დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში და გამოაქვეყნა პარიზში ქართულ და ფრანგულ ენებზე ჩვენი მხარის ისტორია. XIX საუკუნის თვალსაჩინო ქართველ საზოგადო მოღვაწეებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ფრანგ კოლეგებთან.

სპორტის სამყაროში

ქართველი მწვრთნელი ირანში

თავისუფალი სტილის ირანელი მოჭიდავეები განთქმული არიან მთელ მსოფლიოში. გამოჩენილ სპორტსმენებს ტახტის, დაგესტანლის, მეხტი-ზადეს, ჰაბიბისა და სხვებს რამდენჯერმე მოუპოვებიათ მსოფლიოსა და ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონთა წოდება. მაგრამ მათთან ერთად ძნელია დაასახელო კლასიკური სტილის რომელიმე თვალსაჩინო ირანელი მოჭიდავე, რადგან ამ სახეობის ჭიდაობა ირანში პოპულარული არ არის.

ირანის ჭიდაობის ფედერაციამ სთხოვა საბჭოთა ფედერაციას გაეგზავნა ირანში ერთი წლით გამოცდილი მწვრთნელი კლასიკურ ჭიდაობაში.

ეს პატივი წილად ხვდა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის კათედრის გამგეს, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს მიხეილ ოყროშიძეს. ამას წინათ იგი შეხვდა ჩვენს კორესპონდენტს და გაუზიარა შთაბეჭდილებანი ირანში ყოფნის შესახებ.

— თავისუფალი ჭიდაობის ამ კლასიკურ ქვეყანაში, — თქვა მან, — არის აზრი, რომ აღმოსავლეთში ვერ განვითარდება კლასიკური ჭიდაობა. ამას ხსნიან ეროვნული ხასიათის სპეციფიკით. მე დავამტკიცე საწინააღმდეგო უკვე თვენახევრის შემდეგ. ამ მოკლე ხანში მომზადებულმა ირანელმა მოჭიდავეებმა მესამე გუნდური ადგილი დაიკავეს აზიის ქვეყნების ასპარეზობებში. 1967 წელს ცხრა თვის მეცადინეობის შემდეგ, ბუქარესტის მსოფლიო პირველობაზე, ირანელებმა გაიყვეს VI-VII ადგილები იაპონელ მოჭიდავეებთან და გაუსწრეს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია და სხვ. (უნდა აღინიშნოს, რომ ირანის გუნდი გამოდიოდა მხოლოდ ხუთ წონითს კატეგორიაში). მანამდე კი 1966 წელს მან სრული შემადგენლობით დაიკავა მხოლოდ მე-14 ადგილი.

მომიხდა ინტენსიური მუშაობა არა მარტო სპორტსმენებთან, არამედ ადგილობრივ მწვრთნელებთანაც, ყოველ წვრთნას ესწრებოდნენ ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე და წევრები. მწვრთნელისა და მასწავლებლის მუშაობას ვეწეოდი ჩვენს კათედრაზე დამუშავებული მეთოდიკით.

მ. ოყროშიძემ, როგორც მწვრთნელმა და პედაგოგმა, დიდი აღიარება პოვა ირანელ მოჭიდავეთა და სპეციალისტთა შორის. სსრ კავშირის ჭიდაობის ფედერაციაში მოვიდა წერილი, რომელშიც გამოთქმულია მადლობა დიდი დახმარებისათვის, რაც საბჭოთა სპორტსმენმა გაუწია ირანში კლასიკური ჭიდაობის განვითარებას.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30.83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

მოუსმინეთ საქართველოს

საredაქციო კოლეგია

ბ-ჯ,6 ვისკვეთია

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.